



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080189832184918

# 424

07 / თებერვალი /  
2018 წ.

შპს „ლაშას“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა;

ტენდერის ნომერი: NAT170013406;

შესყიდვის ობიექტი: 34900000 – სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები;

პრეტენდენტი: შპს „ლაშა“ (ს/კ: 448396771);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: უარი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2017 წლის 7 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2017 წლის 6 დეკემბრის № 33-01173402061 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 11101), რომლითაც სააგენტოს ეცნობა NAT170013406 ელექტრონული ტენდერიდან გამარჯვებული პრეტენდენტის – შპს „ლაშას“ (ს/კ: 448396771) დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის გამო.

1.2. სააგენტომ შპს „ლაშას“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის [ltarieladze@mail.ru](mailto:ltarieladze@mail.ru) მეშვეობით, 2017 წლის 8 დეკემბრის №5200 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. 2017 წლის 18 დეკემბერს შპს „ლაშამ“ წარმოადგინა 2017 წლის 15 დეკემბრის განმარტება (რეგისტრაციის №11445) ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის გამო დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

1.4. 2018 წლის 11 იანვარს შპს „ლაშამ“ წარმოადგინა წერილი (რეგისტრაციის № 310), რომელსაც თან ერთვოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 9 იანვრის განჩინება.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მის მიერ ქუჩის ავეჯის (CPV34928400) შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ NAT170013406 ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს – შპს „ლაშა“ (ს/კ: 448396771), სატენდერო კომისიის 2017 წლის 4 დეკემბრის №2 სხდომის ოქმით, მოეთხოვა 1 სამუშაო დღის ვადაში (2017 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით) დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის (განფასების) წარდგენა და იგი მიწვეულ იქნა 4 სამუშაო დღის ვადაში (2017 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად. პრეტენდენტმა ხარჯთაღრიცხვა (განფასება) წარადგინა 1 დღის დაგვიანებით, 2017 წლის 6 დეკემბერს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სატენდერო კომისიის 2017 წლის 6 დეკემბრის №3 სხდომის ოქმით, შპს „ლაშა“ მიეცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის გამო.

### 3. პრეტენდენტის პოზიცია

პრეტენდენტის განმარტების თანახმად, სატენდერო კომისიის მიერ ხარჯთაღრიცხვის დასაზუსტებლად განსაზღვრული 1 დღე წარმოადგენდა არაგონივრულ ვადას. მიმწოდებლის განმარტებით, მან სატენდერო კომისიის 2017 წლის 4 დეკემბრის №2 და 6 დეკემბრის №3 სხდომის ოქმები გაასაჩივრა სასამართლოში. ამდენად, მათი მოქმედება შეჩერებული იყო. მიმწოდებელმა აღნიშნა, რომ შპს „ლაშა“ (ს/კ: 448396771) შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვეოდა ბაზარზე კონკურენციის დაცვისა და საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი.

### 4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2017 წლის 24 ნოემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ გამოაცხადა NAT170013406 ელექტრონული ტენდერი ქუჩის ავეჯის (CPV34928400) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2017 წლის 4 დეკემბრის №2 სხდომის ოქმით შპს „ლაშა“ (ს/კ: 448396771) გამოვლინდა გამარჯვებულად. პრეტენდენტს მოეთხოვა 1 სამუშაო დღის ვადაში (2017 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით) დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის (განფასების) წარდგენა და იგი მიწვეულ იქნა 4 სამუშაო დღის ვადაში (2017 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. პრეტენდენტმა NAT170013406 ელექტრონულ ტენდერში დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა წარადგინა 1 დღის დაგვიანებით, 2017 წლის 6 დეკემბერს.

4.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სატენდერო კომისიის 2017 წლის 6 დეკემბრის № 3 სხდომის ოქმით, შპს „ლაშა“ მიეცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის გამო.

## სამოტივაციო ნაწილი

### 5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ლაშა“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

### 6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

### 7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესის და პირობების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის ან/და ხელშეკრულების დადებაზე უარის სხვაგვარად გამოხატვის გამო.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 27-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხარჯთაღრიცხვის (განფასების) დაზუსტება დასაშვებია ხელშეკრულების დასადასტურებლად მიწვევასთან ერთად – თუ ტექნიკური დოკუმენტაცია არ საჭიროებს დაზუსტებას და ელექტრონულ ტენდერში არ არის გათვალისწინებული ნიმუშის, ექსპერტიზის დასკვნის, ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ან/და სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის ვალდებულება. ხარჯთაღრიცხვის (განფასების) დაზუსტებისათვის დგინდება გონივრული, მაგრამ არაუმეტეს 3 სამუშაო დღე, რომელიც ითვლება ხელშეკრულების დასადასტურებლად განსაზღვრულ ვადაში. ასეთ შემთხვევაში, ხარჯთაღრიცხვის დადგენილ ვადაში დაუზუსტებლობა, არასრულყოფილად დაზუსტება ან/და არსებითად შეცვლა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ამ წესის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს ამბობს ან სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე.

7.5. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე ხარჯთაღრიცხვის (განფასების) დასაზუსტებლად განსაზღვრული ვადის არაგონივრულობაზე და განმარტავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 27-ე მუხლის მე-10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, გონივრულობის პრინციპის დაცვის მითითებით, სატენდერო კომისიას ანიჭებს უფლებამოსილებას, ხარჯთაღრიცხვის (განფასების) დაზუსტებისთვის განსაზღვროს არაუმეტეს 3 სამი სამუშაო დღე. სააგენტოს შეფასებით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ NAT170013406 ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ ატვირთული ხარჯთაღრიცხვა (განფასება) არ გამოირჩეოდა სირთულით, რადგან იგი არ შედგებოდა მრავალი პოზიციით, ასევე პრეტენდენტს გამოსასწორებელი ჰქონდა მხოლოდ ის გარემოება, რომ მას ხარჯთაღრიცხვის (განფასების) ჯამი, ელექტრონული ვაჭრობის შედეგად და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული წინადადების შესაბამისად, საჭიროებდა მხოლოდ და მხოლოდ 125 ლარით შემცირებას. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სატენდერო კომისიის მიერ განსაზღვრული 1 სამუშაო დღის ვადა იყო გონივრული და საკმარისი დასახელებული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

7.6. რაც შეეხება პრეტენდენტის განმარტებას შპს „ლაშას“ შავ სიაში დარეგისტრირებით ბაზარზე კონკურენციის დაცვისა და საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპების შესაძლო დარღვევის შესახებ, სააგენტო განმარტავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების თანახმად, შპს „ლაშას“ მონაწილეობით ჩატარებულ შესყიდვებში კონკურენციის (პრეტენდენტთა მონაწილეობის) საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 4,09-ს. ამასთანავე, პრეტენდენტთა მონაწილეობის მაქსიმალურ მაჩვენებლად ფიქსირდება 24. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ლაშას“ შავ სიაში დარეგისტრირებით არ დაირღვევა ბაზარზე კონკურენციის დაცვისა და საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპები.

7.7. სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე სატენდერო კომისიის 2017 წლის 4 დეკემბრის №2 და 6 დეკემბრის №3 სხდომის ოქმების მოქმედების შეჩერების თაობაზე და განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. მოცემულ შემთხვევაში, სატენდერო კომისიის 2017 წლის 4 დეკემბრის №2 და 6 დეკემბრის №3 სხდომის ოქმებით მიღებული გადაწყვეტილებები აღსრულდა, რამდენადაც პრეტენდენტს მოეთხოვა ხარჯთაღრიცხვის წარდგენა და ამ მოთხოვნის სრულყოფილად შეუსრულებლობის გამო მას მიეცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის გამო. რაც შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 9 იანვრის განჩინებას, მასში არ არის მითითება ზემოხსენებული სხდომის ოქმების მოქმედების შეჩერების

თაობაზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო კი დავაში ჩაერთო მესამე პირად. ამდენად, აღნიშნული განჩინებით სააგენტოს არ შეზღუდვია გადაწყვეტილების მიღების უფლება.

7.8. მოცემულ შემთხვევაში, შპს „ლაშა“ დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა (განფასება) წარადგინა 1 დღის დაგვიანებით, რაც იწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ამდენად, სახეზეა პრეტენდენტის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.9. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/ მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.10. აღსანიშნავია, რომ შპს „ლაშა“ (ს/კ: 448396771) 2018 წლის 30 იანვარს მიეცა გაფრთხილება SPA170012503 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და იგი მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. შპს „ლაშას“ გაფრთხილების მოქმედების ვადა კი იჭურება 2019 წლის 30 იანვარს.

7.11. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.12. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან პრეტენდენტს მიეცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის გამო. შესაბამისად, დარღვევისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული გაფრთხილების ფაქტის გათვალისწინებით, შპს „ლაშა“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

### სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ლაშა“ (ს/კ: 448396771) 2018 წლის 8 თებერვალს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე

